



9(47922) (002)

ნერილი გურიაში

10

საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ.

4.6.01
3



ტფილი

აჭარა. -შპს. სტამბა არ. კერძებულის. გაბაშვილის ქმა № 1.

1914

აფხაზეთის კათალიკოზი დანიელ მოხსენებულია ერთსა-
 ლომის ჯეარის მონასტრის აღმანის და მიმდევ
 ძრუსტების შესაბამის სამართლის უნივერსიტეტის მიმართ
 მოხსენებულია ის ადგიუსტინუ გრ პეტერ კათალიკოზი
 და მიმართ მის მიერ მიმდევ გრ პეტერ კათალიკოზი.

აფხაზეთის კათალიკოზი დანიელ.

აფხაზეთის კათალიკოზი დანიელ მოხსენებულია ერთსა-
 ლომის ჯეარის მონასტრის აღმაპებში 18 აგვისტოს: „ამასვე:
 დღესა. აღაპი. საუკონო აფხაზეთისა კათალიკოზისა. დანიე-
 ლისი და მისისა შეილისა. კუნძღვდელისა გრის. იწ. აგვის-
 ტოსა. სატფურებასა. ყდ. წრისა. ლოთის მშბელისასა. არმა-
 სისა. და ვინცა გარდაიკადოთ. შეგინდვნეს. ლოთ [დ]ა მოკსენე-
 ბად. ყოველთა დღეთა. სკნაქსრისა. წირკითხვისა. ზა თრ-
 თავე. მამაშვილთა. სააღაპო და მოსაქსენებელი: სრულად.
 მოიღო რომლითა. შევსჯერდით: და ნუ დაგუაკლებთ ლთისა-
 თუის გევედრებით: “-*) ამ მოსახსენებლიდან ჩვენ ვტყობილობთ,
 რომ დანიელ აფხაზეთის კათალიკოზს ყოლია შვილი გიორგი
 კუნძღვდელი. ეს გიორგი კუნძღვდელი მოხსენებულია იმავე
 ჯვარის მონასტრის აღაპებში — ნ დეკემბერს: „საბაობისა დღე-
 სა: გაუჩინეთ. წირვა და აღაპი: მაკარიძესა სამდვლელს: მის-
 მან მეუღლე ყოფილმან. ფოზინე. მოგუცა ათასი დრამა: სადამდისცა ესე მონასტრი. ეგოს. თვ ერთიცა ქართველი
 იყოს ნუ ვინ დააკლებს: გარდაიკადეს: ამა დღესა. და ვინ-
 ცა არ დააკლოს სასუფეველი ღრნ მას: ნუ დააკლოს: ან: მე
 მამრნ. ამა პტისნისა ჯრისა: არქმანდრიტმან იოსებ მოძღვრნ
 გი ჭყანდიდებრნ გი და სრ - - -“ (აღაპნი, გვ. 23) იგივე
 პირი კიდევ მოხსენებულია 12 დეკემბერს: „ამასვე დღესა წრისა

*) აღაპნი ჯუარის მონასტრისანი, ნ. მარრის გამოცემა, 73.

სპირიდონის. დღესა წირვად და აღაპი: ჯავახის შეილისა ხა-
რიჯნისი: და მისისა მეუღლისა ორბოძლელისა ასულისა.
თამარისი: გაუჩინეთ: მე პატიოსნისა ჯრისა: არქიმანდრიტებზე
იოსებ: მოძღვანელზე გრ. ჭყნდიდღმზე გრ და ერთსულობით
კრებალმან: მთმზ. ქალმზე ხურაშნ ყოფილმზე ფოტინე: ათა-
სი დრამა: მოგუცა და გაუჩინეთ: წირვა და აღაპი: და სადამ-
დისცა ესე მონასტრი: ეგოს. თუ ორნიცა ქართველნი: იყუ-
ნენ: ნუ ვინ და ყლებთ. გარდაიკიდიდით: და ვინცა არ: დააკ-
ლოს. ღრ ს-სუფეველი: მას ნუ დააკლოს:-* (აღაპინი, გვ.
26—27) ამ მოსახსენებლებიდან სჩანს, რომ დანიელ კათალი-
კოზის შეილი გიორგი ჭყნდიდელი ჯვარის მონასტერში ყო-
ფილა არქიმანდრიტის იოსების დროს და კერძოდ მაშინ, რო-
დესაც ჯავახის შეილის სარიჯნისა და მისის მეუღლის თამარის
მოსახსენებლად ათასი დრამა გადაუცია მონასტრისათვის შათ
ასულს ხვარაშან ყოფილს ფოტინეს. არქიმანდრიტი იოსები
სენიება კიდევ ერთ ისეთს მოსახსენებელში, რომელიც საშუა-
ლებას მოგვცემს მისი ცხოვრების დრო უფრო დაახლოევებით
დავათარიღოთ, სახელდობრ 14 სექტემბერს: „ჯრის ამაღლე-
ბასა. დღესა. წირვა და მღაპი. საუკუნო მეფეთ. მეფისა. გრისი.:
შენს ღრ: თუ. ორნიცა მოლაზონნი. იყვნეს: არ დააკლდეს:
არქიმანდრიტებზე. მმ. რსებ და მოძღვარმზე და სრულიდ
კრებულმზე: გაუჩინეთ:“ (აღაპინი. გვ. 4). ამ გვარად იოსებ
არქიმანდრიტად ყოფილი ჯვარის მონასტერში მაშინაც, რო-
დესაც ერთი გიორგი მეფე უკვე გარდაცვლილი ყოფილა. ჯა-
ვახის შეილი სარიჯნა, რომლის ასული იოსებ არქიმანდრიტის
დროს ჯვარის მონასტერს მისულა, მოხსენებულია ერთს 1344
წლის საბუთში*), რომელიც ბოძებული უნდა იყოს გიორგი
ბრწყინვალის შეილის დავით მეფის მიერ: “... გიბოძები ჯა-
ვახის (ეს კი მეულე, უადარებელი და უდიდესი გვარი იყო)

*) საქართ. ხიდვ. II, 10. რედაქტორს აღნიშნული აქვს თარიღი
1345 წ., მაგრამ 35 ქორონიკონი 12 იკტომბერს უდრის 1344 წ.

ვახის შეიღლს გამრეკელსა შვილთა სარიჯნა.... კომნაკომისძე და ბორტყოლა შენსა ბიძას ძის შალვასა შვილს ჰქონდესა მისი-სა საქმისა შეკაზმამდის“.... როგორც ჩემ მიერ ნაჩვენებ თო-რელების გვარეულობის გენეალოგიდან სჩანს *), აქ მოხსე-ნებული შალვა უნდა ყოფილიყო უნკროსი ბიძაშვილი გამ-რეკელისა, რაც საგულისხმებელია თვით ამ სიგელის შინაარ-სიდან. თუ ეს ასე და რადგან 1344 წ. შალვა მიცვალებუ-ლად სჩანს, ამიტომ ამ დროს გამრეკელიც ხანში შესული იქ-ნებოდა და სარიჯნაც მცირე წლოვანობას გადაცილებული. სარიჯნას ისული ხვარაშან მოლოზნობის დროს ყოფილა ერუ-საბლის. ძნელი დასაჯერებელია, რომ ხვარაშანის მოლოზნად შე-სვლის შემდეგ ჯვარის მონასტერში მისვლა 1370—1375 წელ-ზე უფრო ადრე მომხდარიყოს. ამ დროს კიდევ იოსებ არქი-მანდრიტი ყოფილა ჯვარის მონასტრის მამად. გარდა ამისა, იოსები ერთს მოსახსენებელში იხსენიებს გარდაცვალებულად გიორგი მეფეს. ძნელი დასაჯერებელია, ეს გიორგი გიორგი ბრწყინვალე იყოს, რომელიც ბევრად ადრე გარდაცვალა. უფრო საფიქრებელია, რომ აქ იგულისხმება გიორგი ანდრონიკეს შვი-ლი, მოკლული 1373 წ. ამას უნდა გვიჩვენებდეს შემდეგი გა-რემოება: გიორგი მეფის შესახებ 14 სექტემბრის მოსახსენე-ბელი დაწერილი ყოფილი წითურად ძველი ხელით და, რო-გორც სჩანს, იმავე ხელით წითურადვე დაწერილი ყოფილი 6 აგვისტოს მოსახსენებელი გიორგი მეფისა (აღაპნი, გვ. 4 და 70). 6 აგვისტოს სხვა ხელით მიწერილია მოსახსენებელი „მე-ფეთა მეფისა ანდრონიკეს შვილისა გრის“. ამ მოსაზრებების მიხედვით მე მგონი ცხადია, რომ იოსებ არქიმანდრიტი ჯვა-რის მამად ყოფილა 1370-იან წლებში და 1380-იან წლებში-დაც, რადგან ხვარაშანის მოგზაურობა უფრო ამ უკანასკნელს ეპოქას უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე პირველს. აქედან სჩანს, რომ გიორგი კუმნდიდელი 1370-იან ანდა 1380 წლებში ჯვა-

*) ჩემს —წერილე ბი და მასალები საქართ. ისტორ., I, 64.

რის მონასტერს ყოფილა. საინტერესოა კიდევ შემდეგი გარე-
მოება. 1376 წლის შიომღვიმის ერთი სიგელი დაწერილია
გიორგი ჰუმბიდელის მწირველის ხელით *). სჩანს გიორგი
ჰუმბიდელს ერუსალიმს გამგზავრების წინ შიომღვიმეში თა-
ვისთვის მწირველი დაუყენებია. ამ გარემოებასაც თავისი მნი-
შვნელობა აქვს, რადგან გიორგი ჰუმბიდელი, როგორც
მისი წოდებიდან სჩანს, აფხაზეთის მეფის ქვეშევრდომი იქნე-
ბოდა და ამ შემთხვევაში მის მიერ მწირველის დაყენება შიო-
მღვიმეში გვიჩვენებს ამ მონასტრის სახელის გავლენას დასაფ-
ლეთ საქართველოშია.

რადგან ამ გვარიდ გიორგი ჰუმბიდელი 1370 – 1390
წლებში მცხოვრები პირია, ამიტომ მამა მისის დანიელის კა-
თალიკოზობა დაახლოვებით ამავე ხანებში მოდის, მით უმე-
ტეს, რომ ანგარიშის მიხედვით შესძლებელია გიორგი ჰუმ-
ბიდელის მოღვაწეობა თვით ჯვარის მონასტერში 1390 წელს
ბევრიდ გარდასცილდა.

ვახუშტის მიერ პოენილ ქრონიკის მიხედვით, 78 ქორთ-
ნიკონს (1389 წ. 1 სექტ.—1390 წ. 1 სექტ.) აფხაზეთის კა-
თალიკოზად დასვეს არსენი. მე მგონია, რომ დანიელ აფხაზ-
თი კათალიკოზი, ჯვარის მონასტრი; აღაპებში მოხსენებული,
არის წინამოადგილე ამ არსენისა და ეკლესიას განაგებდა და-
ახლოვებით 1370 – 1389 წლებში.

*) ქრონიკები, II, 190.

აფხაზეთის სამეფოს მანდატურთ- უხუცესნი ძე-XIV საუკუნეში.

ერუსალიმის ჯვარის მონასტრის ოლაპებში 11 ივნისს ჩა-
წერილია მოსახსენებელი: „ამსვე დღისა პნაშვდი სარგის ჯა-
ყელისა ათაბაქისა: შნდვენ ღნ: თეკლა გაუჩინა მისმან მე-
უღლებნ: ამასვე: დღესა: ოლაპი: და წირვა: ონოფრობასა:
მანდატურთ უხუცესისა ბექასა: შნს: ღნ:“ 12 ივნისის პირ-
დაპირ მიწერილია: „ამასვე დღესა ალაპი. მანდატურთ. უხუ-
ცესისა. და ერისთვთ ერისთვისა. ცოტნე. დადიანისა. მო-
აკისა. პატიოსნისა ჯრისა. მონასტერსა. გურიელისა ასულმან
მრმე ყოფილმან. მაკრინ ათასი თეთრი. შნს ღნ: და ვინ
არა გარდაიკადოს. შეჩებულმუა არის:“ (ოლაპნი, გვ. 61). ამ
მოსახსენებელის ქვევით იმავე ხელით და იმავე დღეს მოხსენე-
ბულია: „ამსვე დღისა ოლაპი სარგის ჯაყელისა ათაბაქისა
შნ ღნ. მისმან მეუღლე ყოფილმან თეკლა გაუჩინა და ვინ-
ცა არ გრძაიკადოს შეჩებულებულმუა არს:“ (იქვე). ამ მოსა-
ხსენებლებიდან სჩანს, რომ მანდატურთ უხუცესს და ერისთავთ
ერისთავს ცოტნე დადიანს ცოლად ყოფილი გურიელის ასუ-
ლი მარიამ, რომელიც ქმარის სიკვდილის შემდეგ მოლოზნად
შესულა მაკრინეს სახელწოდებით. იმავე დროს (მოსახსენებე-
ლი იმავე ხელითა დაწერილი) სარგის ჯაყელის ქვრივს თეკ-
ლას გაუჩინია ოლაპი თავისი ქმარისათვის. ეს გარემოება გვი-
ჩვენებს, რომ მარიამ ყოფილი მაკრინე და თეკლა ერთის
მხრივ, ცოტნე დადიანი და ათაბაგი სარგის ჯაყელი მეორეს
მხრივ თანამედროვენი ყოფილან. ცნობილია, რომ სარგის
ათაბაგი იყო ძე ბექა მანდატურთ უხუცესისა, რომორც ეს სა-
გულისხმებელია პირველ მოსახსენებელიდანაც. სარგისი იყო
უფროსი შვილი ბექასი, ხოლო ბექა გარდაიკვალა ჩემის გა-

მოანგარიშებით 1309 წელს. ვახუშტის ქრონიკით სარგის გარდაიცვალა 1334 წ., თუმცა ამ თარიღის სინამდვილე ჯერ კი დევ საძიებელია, რადგან არა სჩანს, საიდან ამოიღო ეს ცნობა ვახუშტიმ. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ცოტნე დადიანისა და სარგისის მოღვაწეობა მოუწევს მე-XIV საუკუნის დასაწყისს. ამასთანავე სახეში მისაღებია შემდევი გარემოება. ვახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკის მიხედვით „ქორონიკონსა 11 (1322 წ. 1 სექტემბ. — 1323 წ. 1 სექტ.) მოკუდა გიორგი დადიანი, დაჯდა ძე მისი მამია დადიანად“ (ქართლ. ცხ., II, 237). ცოტნე ილაპებში მოხსენებულია ერისთავთ ერისთავად და დადიანად. ეს გარემოება იმისი მაჩვენებელია, რომ თუ ცოტნე მე-XIV საუკუნის დასაწყისს ცხოვრობდა, ის უნდა ყოფილიყო წინამოადგილე გიორგი დადიანისა. ამ შემთხვევაში ცოტნეს დადიანობა მოუწევს მე-XIV საუკუნის პირველ წლებს და შესაძლებელია მე-XIII საუკუნის პირველ წლებსაც. ამ ნაირად, ცოტნე მანდატურთ-უხუცესისა და დადიანის მოღვაწეობა მოუწევს დაახლოვებით 1290—1320 წლებს.

ზანდატურთ-უხუცესი ბეჭენე ვარდანის ძე მოხსენებულია იმავე ჯვარის მონასტრის ილაპებში 12 ნოემბერს: „ქ: ამასვე დღესა ილაპი და პანაშვდი ს-კუნ-ჭ: ბეჭენე მანდატურთ უხუცესისა ვარდანის ძისა მოგულა მისმ-ნ სიძემ-ნ ფურთუხ: გარეყანის ძემ-ნ: ორი ათასისა თეთრისა წითელი და გაუჩნთ აღ-პი და პან-შვდი: დაუკლებელ-დ ვარდაიკედებდეს:.“ (ალაპნი, გვ. 14). აქ მოხსენებული ფურთუხ გარეყანიდ ყოფილა მაკარის შვილი, როგორც ეს სჩანს 29 დეკემბრის მოსახსენებელიდან: „ამასვე. დღესა ილაპი არის. საუკუნოე გარეყანისძისა. მაკ-რის შ-ვლისა ფორთოვისი და ძისსა მ-ღლისა ვ-რდანის ძისა ბეჭენეს ასოლისა ხათოთავსა და ვინცა შეუცვალოს შემცაიცვლების სჯულისაგ-ნ ქრისტიანთავსა და წ-ყოლმცა არის. პირითა ლთისეთა:.“ (გვ. 36) ამ მაკარის ასული უნდა ყოფილიყო შევნიერი, რომლის მოსახსენებელის მცირე ნაწილი შენარჩუნებულა 1 ავგისტოს: „- - - მკარის ასუ[ლს] შუ[ე]ნ[იე]-

რას]. - - " (გვ. 70). შვენიერი მოხსენებულია იმავე აღაპებში 15 აგვისტოს (გვ. 73), დედოფლად 10 აგვისტოს (გვ. 71), 25 დეკემბერს: „ქეს შობასა. წირვა: და აღაპი: და დალოცვა: შვენიერ ყოფილისა: მაკრინესი: შ'ნს: ღ'ნ:.“ (გვ. 32) კიდევ 25 იანვარს: „ამასვე: დღესა წირვად და აღაპი დედოფლადთა დედოფლისა შვენიერ ყოფილისა მაკრინესი“... (გვ. 45) და უკანასკნელ 25 მარტს: „მეორედ: მოგვვიდა. შვენიერ ყოფილისა. მაკრინესი. სამოცდა თოთხმეტი. სომი ორას: ორ-მოცდაათი: მუტყალი. ოქრო: და გაუჩინეთ. დალოცვა...“ (გვ. 52). 10 აგვისტოს წირვა და აღაპი დედოფლის შვენიერისა ჩაწერილია იმავე ხელით, რომელ ხელითაც ჩაწერილია 8 აგვისტოს წირვა და აღაპი მეფეთ მეფის გიორგი ანდრონიკე-შვილისა, 7 აგვისტოს შეჯინიბეთ უხუცესის ბევნისა და 12 აგვისტოს იმილახორის ქვენიფნეველისა. გიორგი ანდრონიკე-შვილი და ამილახორი ქვენიფნეველი მოკლულ იქნენ 1373 წლის ბრძოლაში *). დედოფალი შვენიერი, რომელიც, როგორც სჩანს, ცოლი იყო მეფის გიორგი ანდრონიკე-შვილისა და ასული მაჯარ გარეყანისა, ამისდა მიხედვით ცხოვრობდა მე-XIV საუკ. მეორე ნახევარში. შვენიერი ქმარის სიკვდილის შემდეგ მოლოზნად შესულა, ამიტომ მისი ცხოვრება დაახლოვებით მოდის 1340—1380 წლების ახლოს. ფორთოს გარეყანიდე ძვა ყოფილა შვენიერისა, მაშისადამე მისი ცხოვრების დრო დაახლოვებით იმავე ხანებში მოდის. ფორთოს გრეყანიდე იყო სიძე ბეჭედ მანდატურთ უხუცესისა, რომლის ასული ხათუთა იყო ცოლი მისი. ამისდა მიხედვით, მოლვაწეობა მანდატურთ უხუცესის ბეჭედ ვარდანის ძისა მოუწეს დაახლოვებით 1325—1350 წლებს. შესაძლებელია, ბეჭედი მანდატურთ უხუცესის თანამდებობაში იყო მოადგილე ცატ-ნე დაღიანისა.

— 10 —

*) ჩემი წერილი ქვემოდ — მეფე გიორგი ანდრონიკე-შვილი ალასტანელი

მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში მანდატურთ უხუცე-
სის თანამდებობაში ცნობილია დადიანი ვამეყ, რომელიც ქრო-
ნიკულის ცნობით დადიანიდ დაჯდა 1384 წ. თავისი მამის
გიორგი დადიანის სიკვდილის შემდეგ. ვამეყ მოხსენებულია
ხობის წარწერაში: „ქ. სახელითა ღრთისათა მთავარ ერისთავ-
მან და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა
პატრონისა თავარ-ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგის
შედეგად მიუკადა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისა-
თვს, რათამცა მოემტნა და სრულიადცა შეურაცხ და უკმარ
იქმნა მათი სიმაგრენი გაგარი და უღალნი ყოველნივე ძალითა
მოირკუნა მრავალთა ჯიქეთის პატრონთაგან მიუვალი მოარ-
ბიენა რაოდენი მოეწყო მათნი მძეველნი წამოასხნა და სხუა-
ნი აოტნა და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ქსენი მარ-
მარილოსანი და მამადედათა ლარნაკი და მისი და მარებ გაწ-
რათ საუკუნომცა არს ქსენება მათი“*). აქ ვამეყ დადიანი მო-
ხსენებულია მანდატურთ-უხუცესად. ცოლი ვამეყისა არის ამ
წარწერაშიაც მოხსენებული მარის, ხოლო დედა რუსუდან**).
მამა ვამეყისა გიორგი დადიანი მანდატურთ უხუცესად არ არის
მოხსენებული და, როგორც ჯუმათის წარწერიდან სჩანს, ვა-
მეყ მანდატურთ უხუცესად ყოფილა მამის სიუოცხლეშივე:
„...მთავარ ანგელოზო გაბრიელ, მეოხ და მფარველ ექმენ
აშა სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა პატრონსა და ერის-
თავთ ერისთავსა დადიანს გიორგის და მეუღლესა მათსა რუ-
სუდანს, ძეთა მათთა მანდატურთ უხუცესა ვამეყს და გური-
ელსა კახაბერს, რომლისა ბრძანებითა მოიკედა ესე... ხატი“***).
მამა ვამეყისა გიორგი დადიანი პირველ ხანებში აგრეთვე მან-
დატურთ უხუცესის წოდებას ატარებდა, როგორც ეს სჩანს.

*) ქრონ. II, 199.

**) ა. ცაგარელი, ცენტრ. II, 177—179.

***) დ. ბაქრაძე, არქ. იუ. ი. გურია და ა. ა. აბულია, 263.

ბედის წარწერიდან, საღაც მოხსენებულია დიოფალთ დიოფალი მარქს, აგ შათი ერისთავთ ერისთავი და მანდატურთ უხუცესი დადიანი გიორგი *). ძნელი დასაჯერებელია ამ წარწერაში იგულისხმებოდეს ის გიორგი დადიანი, რომელიც გარდაიცვალა ქრონიკული ცნობით 1323 წ. და რომელიც, როგორც საგულისხმებელია შვილი უნდა ყოფილიყო ცოტნესი, რადგან ცოტნეს ცოლს, როგორც აღაპებიდან სჩანს, სახელიდ ერქვა მარიამ. თუ მართლა ბედის წარწერაში მოხსენებული პირი ის გიორგი დადიანია, რომელიც ქრონიკული ცნობით 1345—1384 წლებში მთავრობდა, მაშინ გამოდის, რომ ახალგაზღობაში და ჯეელობაში თითონ ის ყოფილა მანდატურთ უხუცესად, ხოლო ხანში შესვლის შემდეგ მანდატურთ უხუცესობა მიულია მისს შვილს ვამესს.

ამისდა მიხედვით ჩვენ მივიღებთ შემდეგს სის მანდატურთ უხუცესებისას ოფხაზეთის სამეფოში მე-XIV საუკუნეში. ცოტნე დადიანი მე-XIV საუკუნის დასაწყისში, ბეშქენ ვარდანის ძე 1325—1350 წლების ახლოს, გიორგი დადიანი 1350—1375 წლების ახლოს, ვამეყ დადიანის ძე და შემდეგ დადიანი დაახლოვებით 1375 წლის შემდეგ. ვამეყ დადიანი ქრონიკული ცნობით გარდაიცვალა 1396 წ.

აქედან ერთხელ კიდევ ცხადად სჩანს, რომ აფხაზეთის სამეფოთავის სახელმწიფოებრივ წესწყობილების მხრივ მე-XIV საუკუნეში დამოუკიდებელ გზას ადგა და რომ მანდატურთ უხუცესის თანამდებობა მე-XIV საუკუნეში აფხაზეთის სამეფოში ჯერ კადევ საბოლოოდ მემკვიდრეობით ერთს გვარში არ იყო განმტკიცებული, როგორც ამას მე-XV და მე-XVI საუკუნეში ვხედავთ.

*) ბროსსე, იქვე.

მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი.

გიორგი ანდრონიკეს შვილი მოხსენებულია ჯვარის მონასტრის აღაპებში იმავე ხელით, როგორც მოსახსენებელი მეჯინიბეთ უხუცესის ბეგნიასი, დედოფლის შვენიერისა და ამილახორის ქვენიფნეველისა, სახელდობრ 7 აგვისტოს: „ამსვე დღსა წირვა და აღაპი მეჯინიბეთ უხუცესისა ბეგნიასა შენ ღწნ“; 8 აგვისტოს: „ამსვე დღსა წირვა და აღაპი საუკუნო მფრთ მეფისა გრიგო ანდრონიკეშვილისა გრძნეს ღწნ“; 10 აგვისტოს: „ამსვე დღსა წირვა და აღაპი სკნე დედოფლისა შენიერისა შენ ღწნ“; 12 აგვისტოს: „ამსვე დღსა წირვა და აღაპი სკნე ამილახორისა ქუნიფნეველისა გრძნეს ღწნ“*). ცნობილია, რომ ამილახორი ქვენიფნეველი მოკლულ იქნა 1373 წლის ბრძოლაში თურქებთან და ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს გიორგი ანდრონიკეს შვილის ცხოვრების დროის გამოკვლევისას. მაგრამ ჯერ თავი მოუკაროთ სხვა ცნობებსაც, სადაც იხსენიება ეს მეფე გიორგი. სინაის მონასტრის აღაპებჲებშიაც არის შემდეგი მოსახსენებელი: „ალასტანელი გრი დიდი და მაჟთა ძეთა გრძნოს ღწნ სულსა მეფისა ანდრონიკეს და მრთთა ძეთა გრძნოს ღწნ“**). ამ მოსახსენებელში გიორგი წოდებულია უკკე ალასტანელად. გიორგი ალასტანელი კიდევ მოხსენებულია ერთს მცხეოს სიგელში № 333, რომელიც ბოძებულია დიდის ალექსანდრე მეფის მიერ. ეს სიგელი დაწერილია ქალალდზედ და საკმაოდ დაზიანებულია, თავიც

*) აღაპი, გვ. 71.

**) შეად. ცაგარელი, მუნ. მთავრობის ალასტანელის მაგივრად შეცდომით წაკითხულია ალასხნელი (ხუცური ს და ტმსგავსებისა გამო). ეს მინაწერები გადმოვწერე ივ. ჯავახიშვილის სინას ხელნაწერების აღწერილობიდან.

ეყლია. და რაც დარჩენილია, იმის ზომა უდრის $125^{\prime}/_2 \times 26^{\prime}/_4$.
სანტიმ. აი ეს სიგველი სრულიად უცვლელად:

--- ღ თისათა:.. ძუელი --- [მი]ტაცებული:.. ოგარიანთა-
გან:.. ჩუენი:.. --- [ლო]რე:.. და:.. მისი . შესავალნი . ერთო-
ბილნი:.. ჩუენ: ვიშოვნეთ:.. და:.. დავიტირენით:.. და:.. როგორაცა
ვის:.. ქართველთა:.. დარბაზის ერთა:.. ზემოთა:.. და:.. ონუ:..
ქუემოთა --- ჰქონებოდა:.. ონუ:.. ნიშანი:.. ვისმელა:.. დარჩო-
მოდა:.. და:.. ონუ:.. [ჩამო]მავლობით:.. პაპთა:.. და:.. მამათაგან:..
არა თუ: მაქსივრობით:.. მათა:.. მომავალთ გან:.. სმენით:.. სმე-
ნოდა:.. და:.. იაჯეს:.. მათი:.. [მამული:.. უბო]ქეთ:.. და:.. ვიეთ-
ობე:.. არა:.. ჰქონებოდა:.. ორცა:.. ჰქონოდა:.. როგორცავინ.
გუელირსებოდა:.. ეგრეთ:.. განუყავით:.. და:.. უბოქეთ:.. და:..
ჩუენისა:.. სულისა:.. მოძლუარმან:.. და:.. მეოხმან:.. პატრონმან:..
კზმან:.. თეოდორე:.. ამუჭი:.. სოფელი:.. და:.. მისნი:.. შესავალნი:..
იაჯნეს . და:.. გავიგ[ონეთ:..] რომე:.. ამა:.. ლორისა:.. ციხისა:..
შოვნასა:.. შიგან:.. და:.. მისთა:.. [შეს]ავალთს:.. შოვნასა:.. შიგან:..
დიდად:.. და:.. უსაზომოდ:.. მოიჭირვეს:.. პირველად:.. ვეღრები-
თა:.. ღ თისათა:.. და:.. კუალად:.. და:.. კუალად:.. ლაშქართა:..
მიმუნებითა:.. ესრეთ:.. ვითარმედ:.. ამა:.. უსჯულოთა:.. ი[გარის:]
ნათესავთა:.. ონდრონიკეს შვილი:.. ილასტნელი:.. გვი:.. მოუკ-
ლავი:.. და:.. მრავალნი:.. ქრისტიანენი:.. წამებითა:.. აღუსრუ-
ლებიან:.. და:.. დაუტყუებიან:.. და:.. ტახტი:.. მეფეთა:.. განურ-
ყუნია:.. და:.. საპატიონი:.. და:.. ცამდის:.. მაღალნი:.. საყდარ-
ნი:.. შეურაცხუქმნიან:.. სახლსალოცველი:.. ქუაბ:.. ავაზიკთა:..
უქმნია:.. და:.. უნეთა:.. მათთათუის:.. საყოფად:.. განუჩენია:..
აწ . პრძოლეთ:.. ძლიერად:.. და:.. დაღათუ ვინმე:.. ოშა:.. ში-
გან:.. ალსასრული:.. მიღოთ:.. ქრისტესთუის:.. წამებულთა:.. გურ-
დის:.. მითუალვით:.. და:.. დაღათუ ვინმე:.. დაკოდითა:.. ონუ:..
დაშავებითა:.. და:.. რათაცა:.. ტკივილითა:.. იტანჯებით:.. ყო-
ველსავე:.. ქრისტე:.. შისად:.. ნების მყოფელად:.. და:.. სამსახუ-
რად:.. მითუალვესო:.. და:.. შეწევნითა:.. ღ თისა:.. და:.. ლოცვი-
თა:.. მათითა:.. იქმნა:.. და:.. ვიშოვეთ:.. არა თუ:.. ამუჭი:.. სო-

უელი:. და: მისნი:. შესავალნი:. ეთხოვნეს:. რომე:. უფ
როსნი: მამულნი:. ეთხოვნეს:. არ:. დაწყალობება:. და:. მი-
სიცა: მოქსენება:. გუმართებდა:. აწ:. მოგუიქსენებია:. და:.
მოგუიცემია:. თქუენ:. დიდისა:. და: ცათა:. მობაძევისა:. მცე-
თისა:. დედა ქალაქისა:. [საყ]დრისა:. მპყრობელისა:. ჩუენი-
სა:. სულისა:. მეოხისა: და:. მოძღურისა:. კზისა თეოდორე-
თუის:. ამუჭი:. სოფელი:. ეკლესითა:. სასახლოთა:. გლეხები-
თა:. ყანითა:. ვენაკითა:. წყლითა:. წისქუილითა:. ჭალითა:.
სათიბითა:. ტყითა:. სანადიროთა:. სათევზოთა:. რუთა:. მზღვ-
რითა მთითა:. და:. ბარითა:. საკმრითა:. და: უკმრითა:. საძე-
ბრითა:. და: უძებრითა:. მისითა:, მიმდგამითა: სამართლიანი-
თა:. უდვე:. უნაკლულოდ: მოგუიქსენებია:. თქუენ:. დიდი-
სა:. და: ცათა:. მობაძევისა:. დედა ქალაქისა: მცეთისა:.
საყდრისა:. მპყრობელისა:. ჩუენისა:. სულისა:. მეოხისა:. და:
მოძღურისა:. პატრონისა:. კზისა:. თეოდორესთუის:. ამუჭი:.
სოფელი:. ეკლესითა: სასახლოთა:. გლეხებითა:. ყანითა:. ვე-
ნაკითა:. წყლითა:. წისქუილითა: ჭალითა:. სათიბითა:. ტყი-
თა:. სანადიროთა:. სათევზოთა:. რუთა:. მთითა:. და: ბარი-
თა:. საკმრითა:. და: უკმრითა:. საძებრითა:. და: უძებრითა:.
მისითა: მიმდგამითა:. სრულიად:. და:. უდვე:. უნაკლულოდ:.
და: ყოვლისა:. ადამის:. ნათესავისა:. კაცისაგან:. უსაჩილელ:.
მოუდევრად:. თქუენ:. დიდისა: და: ცათა:. მობაძევისა:. მცე-
თისა:. დედა ქალაქისა:. საყდრისა:. მპყრობელსა:. ჩუენისა:.
სულისა:. მეოხესა:. და: მოძღუარსა:. პატრონისა:. კზესა:. თე-
ოდორეს:. ამუჭი:. სოფელი:. ეკლესითა:. სასახლოთა:. გლეხე-
ბითა:. ყანითა:. ვენაკითა:. წყლითა:. წისქუილითა: ჭალითა:.
სათიბითა:. ტყითა:. სანადიროთა:. სათევზოთა:. რუთა:. მთი-
თა და:. ბარითა:. მზღვრითა: საკმრითა:. და: უკმრითა:.
საძებრითა:. და: უძებრითა: მისითა: მიმდგამითა:. ყო-
ვლითურთ: უნაკლულოდ: მოგუიქსენებია:. სამკუიდროდ:. სა-
მამულოდ:. და: არასა:. უამისა: გამოსრულობისა:. და: გა-
მოცვალებისათუის:. არ:. მოგეშალოს:. მტკიცედ: და: შეუცვა-

ლებლად: და:. ყოვლისა:. სათხოვრისა:. და: გამოსაღებლისა-
 გან:. და:. სამუშაოსაგან:. თარხნად:. და:. შეუვლად:. მოუი-
 კსენებია:. ქსრეთ:. არ:. ეთხოებოდეს:. ულუფა:. არ:. გუთ-
 ნისთავი:. არ:. ყანისა: სამუშაო:. და: არ:. ვენავისა:. სამუ-
 შაო:. არ:. სამეჯინიბეო:. და:. არ: სახორისარალო:. არ:. დი-
 დი:, და:. არ:. მცირე:. სათხოვარი:. და: ჩუენი:. ყმა:. და:.
 მოსამსახურე:. ვერასა: საქმისა:. და:. სათხოვარისათუის:. მათ-
 სა: კარსა: ვერ:. მივიდეს:. აწ:. ვინცა:. ნახოთ:. ბ'ბა:. და:.
 სიგელი:. ესე:. ჩუენი:. შემდგომად. ჩუენსა:. მომავალთა:.
 მეფეთ:. და: დედოფალთა: ერისთავთა:. და:. კარისა: ჩუე-
 ნისა: ვაზირთა:. და:. მოურავთა:. მეჯინიბეთა:. მერემავთა:.
 მჰარავთა:. მეძებართა:. მეულუფეთა:. პურისა:. და: საკლავისა:
 მკრებელთა:. შეულაყეთა:. მესაბანჯრეთა:. და:. ყოველთავე:
 კარით:. ჩუენით:. წარვლენილთა:. გაგზავნილ:. მოსამსახურე-
 თა:. დაუმტკიცეთ:. და:. ნუვინ:. უშალავთ:. მტკიცედ:. ბრძა-
 ნებულსა:. ამას:. ჩუენსა: და:. ნუცავინრას:. დააკლებთ:.
 ნუ:. დიდა. და:. ნუ:. მცირესა: თუინიერ:. თანა:. დადგო-
 მისა:. და:. შემატებისაგან:. კიდე:. და:. არავინ:. გუბბანენე-
 ბია:. შშლელ:. და:. მაქცეველი. მტკიცედ: ბრძანებულისა:.
 ამის:. ჩუენისა:. და:. არცა:. მეუნებელე: მავნებელი: და:
 დამაკლებელი:. და: ნუმცა:. ვისგან:. იკადრების:. ამა:. ჩუენ-
 გან:. სამკუიდროდ:. მოქაენებულისა. დიდისა:. და: გინდა:.
 მცირისა:. რასმე: დაკლებად:. თუინიერ:. თანა: დადგომისა:.
 და:. შემატებისაგან:. კიდე:. დაიწერა:. ბ'ბა:. და:. სიგელი:
 ესე:. ჩუენი:. ქ'ნსა:. რ'კბ:. ინდიკლიონსა:. მეფობისა:. ჩუე-
 ნისასა: კ'ა:. კელითა:. მესტუმრისა:. და:. კარის:. მწიგნობ-
 რისა:. ჩუენისა:. კლიმი:. კაკლაჩასძისათა:.

ზეულად: ალექსანდრე ვამტკიცებ.

ასეთი არის მისი განვითარებული კარიერის უკანასკნელი დრო.



ეს სიგელი ბოძებულია მეფის ალექს. ნდრეს მიერადებულის
ქორონიკონს მეფობის მე-21 ინდიკტიონს. ქორონიკონი 122
უდრის, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კლიმი კაკლაჩაძის
მიერ დაწერილ სიგელებში წელიწადი 1 სექტემბრიდან არის
ნაანგარიშვი, 1433 წ. 1 სექტ.- 1434 წ. 1 სექტემბ. ალექ-
სანდრე მეცე გამეფდა 1412 წ. 11 19 სექტემბერს *). ამისდა
მიხედვით ეს სიგელი დაწერილია 1433 წ. 1—18 სექტემ-
ბერს.

ამ სიგელიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ლორის კიხის
ალების წინ (ლორის კიხე აიღო ალექსანდრემ 1431 წ.) კა-
თალიკოზს თეოდორეს გაუმხნევებაა ჯარი სიტყვით და მოუ-
გონებია მათვის, რომ „ამა უსჯულოთ აგარის ნათესავთა
ანდრონიკეს შეიღლი ალასტანელი გრი მოუკლავს და მრავალ-
ნი ქრისტიანენი წამებითა ალუსრულებიან და დაუტყუებიან
და ტახტი მეფეთა განურყუნია და საპატიონი და ცამდის მა-
ლალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლსალოცველნი ქუაბ
ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათთათუის საყოფად განუჩენია“. როდის მომხდარა ეს ამბავი? ამას არკვევს სიგელის თავში მო-
ხსენებული ცნობა: „...[ლორის კიხე] მიტაცებული აგარიანთა-
გან ჩუენი - - [ლო]რე და მისი შესავალნი ერთობილნი ჩუენ
ვიშოვნეთ და დავიჭირენით და როგორაც ვის ქართველთა დარ-
ბაზის ერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა - - ჰქონებოდა ანუ
ნიშანი ვისმელა დარჩომოდა და ანუ [ჩამო]მავლობით პაპათა
და მამათაგან არა თუ მახსოვრობით მათა მომავალთა ~~უქმნებით~~ სმე-
ნით სმენოდა და იაჯეს.... ეგრეთ განუყავით და უბოძეთ“...
ეს ადგილი გვიჩვენებს, რომ ლორე უკვე კარგა ხანია თურქთ
ჰქონიათ, რომ 1431 წ. ლორის კიხისა და მისი მიღამოს
შოვნის დროს ქართველ დარბაისლების მიწათმფლობელობის
აღდგენა, თუ წერილობითი საბუთი არ იყო, პაპათა და მამა-
თაგან მახსოვრობით და სმენით ხდებოდა. ამისდა მიხედვით

*) ჩემი—დიდის ალექსანდრეს გამეფების თარიღი.

ალასტანელის ბრძოლაში მოკვლისა და ლორის ციხის თურქ-
თაგან დაჭრის შორის ერთის მხრივ და მეორეს მხრივ 1431
წლამდის, როდესაც ლორის ციხე უკან დაბრუნებულ იქნა,
საკმაო დრო უნდა გასულიყო არა ნაკლებ 2 თაობისა. ამი-
ტომ გიორგი ალასტანელის ცხოვრების დრო არ შეიძლება
მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარზე შემდეგს დროს მიეკუთვ-
ნოს. საყურადღებოა კიდევ ის გარემოება, რომ ჯვარის მო-
ნასტრის ალაპებში გიორგი ალასტანელი მოხსენებულია ამი-
ლახორის ქვენიფნეველის მოსახსენებელთან და ორივეს მოსახ-
სენებელი ერთის ხელითაა დაწერილი. ამილახორი ქვენიფნე-
ველი და ერთი გიორგი მეფე მოკლულ იქნენ თურქებთან
1373 წლის ბრძოლაში. ამ ბრძოლის შესახებ მე-XV საუკუ-
ნის „ძეგლი ქსნის ერისთავთა“ გადმოგვცემს: „ამათ უამთა
მოვიდეს თურქი წინაძლომითა ბაედარის ძისა ხოსიასითა და
მოკლეს მეფე ვიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულ-
ნი ქართველნი და მუნვე მოიკლა ერისთავი ქვენიფნეველი,
ქ' კს 61“. პარიზის ქრონიკა ამ ამბავს გადმოგვცემს შემდგრ ნაი-
რად: „ქორონიკონს 61, თურქი მოვიდნენ, მეფე ვიორგი
მოკლეს, ლაშქარნი სრულიად დაკოცნეს, საქართველო მთარ-
ბიეს და წარტყუევნეს თუესა აგვისტოსა 6“. ქვენიფნეველს
ყავდა ორი ძმა ითანე და ვიორგი. ესენი იყვნენ ძენი ერის-
თავის ვიზუალისა, რომელიც თავისი შვილებითურთ მოხსენე-
ბულია საეკლესიო მუზეუმის მე-XIV საუკ. ერთს სახარების
მინაწერებში: „სულსა ძისა მისისა (ლარგულისისა) ერის-
თავისა ვიზუალისასა შ'ნ ღ'ნ. სულსა ძეთა მისთა ამირახორი-
სა და ერისთვისა ქუენიფნეველისა შ'ნ ღ'ნ. სულისა მათისა
ძმისა ამირეჯიბისა და ერისთავისასა ი' ესსა შ'ნ ღ'ნ“. *) ამ
მინაწერიდან სჩანს, რომ ქვენიფნეველი ამილახორი ყოფილა,
როგორც ეს ჯვარის მონასტრის ალაპებიდანაც სჩანს. ამ ცნო-

*) ქრონიკ. II, 19.



ბის მიხედვით ცხადია, რომ 1373 წ. 6 აგვისტოს ბრძოლაში მომავალი დალუბული გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი ალასტანელი. დედოფალი შვენიერი, რომლის მოსახლენებელი ჯვარის მონასტრის აღაპებში იმავე ხელითაა დაწერილი, უნდა იყოს ცოლი გიორგი ალასტანელისა. შვენიერი ყოფილი ისული მაკარ გარეყანისა და ქმრის სიკვდილის შემდეგ შესული მონოზნად მაკრინეს სახელით და დიდი საწირავი გაუცია ჯვარის მონასტრის სასარგებლოდ, რომლის აღაპებში ის ბშირად იხსენიება. შვენიერის (მონოზნობაში მაკრინეს) გარდაცვალების წელიწადი ცნობილი არ არის, ხოლო დღე მისი მიცვალებისა ყოფილი 25 იანვარი *).

ამ გვარიდ მეფე გიორგი ალასტანელი ცხრარობდა შე-XIV საუკუნეში და მოკლულ იქნა თურქებთან ბრძოლაში 1373 წ. 6 აგვისტოს. გიორგის დარჩენია შვილები, როგორც ეს სჩანს სინას მთის. მონასტრის აღაპებიდან: „ალასტანელი გრი დიდი და მათთა ძეთა გნესნოს ღწ“. მამა მისი ყოფილა მეფე ანდრონიკე, რომელიც მოსენებულია იმავე სინას მთის მონასტრის აღაპებში: „სულსა მეფისა ანდრონიკეს და მთთა ძეთა გნესნოს ღწ“ **). მაშასადამე, გიორგი ალასტანელს ყოლია ერთი ან რამოდენიმე ძმა. ვინ უნდა იყოს ეს ანდრონიკე? ალასტანელ მეფეთა შტოს დასაბამის შესახებ საყურადღებო ცნობაა დარჩენილი ქსნის ერისთავთა ძეგლში. დიმიტრი თავდადებულის ძე დავით მეფე თათრებმა მოიულებში გააგდეს და მის მაგივრად მეფედ დასვეს ძმა მისი ვახტანგ. ხუთი წელიწადი, ჩემის ანგარიშით 1295—1300 წლი, ქართლი „შეოთხა შუა იყო..., რამეთუ არა იყო მათ უამთა შინა თესვა, არც უ შენობა ყოვლადვე“. (ქ. ც-ბა, I, 436). თათრების მიერ

*) აღაპენი ჯვარ. მონასტრ., 45.

**) ეს ცნობა ამოვიწერე ამ ექვსი წლის წინად ივ. ჯავახიშვილთან, რომელსაც აღწერილი აქვს ნ. მარრთან ერთად სინას მთის მონასტრის ხელნაწერები.

მეფედ ოღიარებულ იქნა ვახტანგ, ხოლო დავით „ზაფხულ მო-
ულეოს იყვის და ზამთარ ქართლსა“ (ქ. ც-ბა, I, 441). თუმ-
ცა თათრების ბატონობის ეპოქის მემატიიან ამას გადმოვცემს,
მაგრამ ქსნის ერისთავთა ძეგლის მიხედვით, ძმებს შორის ბო-
ლოს და ბოლოს შეთანხმება მომხდარა. „მისუა ვახტანგ და-
ვითს ჯავახეთი და ოლასტანი და გამოიყვანა გველეთით“ — ამ-
ბობს ძეგლი ქსნის ერისთავთა*). ვახტანგ გარდაიცვალა ჩემის
ანგარიშით 1309 წელს „და დამარხეს დმანისს და დარჩეს
შვილნი ორნი დიმიტრი და ვიორგი. დიმიტრის დმანისი აქვნ-
და და ვიორგის სამშეილდე... ყაინმან წარმოავლინა მოცი-
ქული დავითს და სოხოვა შეილი რათა მეფე ყოს. მაშინ მცი-
რე იყო ვიორგი, რეგია მოსცეს და წარმოგზავნეს ურდისა
და ყაენმან მოსუა მეფობა და ტფილისი და უჩინა მოძღვრად
და საქმის მოურავად დიდი გრი და მივიღეს ტფილის“ (ქ.
ც-ბა, I, 445—446). აქედან სჩანს, რომ ვახტანგის მეფობის
უკანასკნელ ხანებში დავით მეფესა და თათრებს შორის მორი-
გება უნდა მომხდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი
იქნებოდა ის გარემოება, რომ ვახტანგის სიკვდილის შემდეგ
თათრებმა მეფედ დავითის შეილი მცირე წლოვანი ვიორგი გა-
მოაცხადეს. ამის შემდეგ „აღესრულა მესამესა წელსა მეფე და-
ვით, გარჯილი სენთა მწარეთა მიერ და დაფლეს სამარხოსა
მეფეთასა მცხეთას და დაუტევეს ნაცვლად მისსა ძედ მისი მცი-
რე ვიორგი ორ წელ მეფე ქმნილი“. (ქ-ცბა, I, 446) დავით
მეფის სიკვდილი ჩემის ანგარიშით მოხდა 1312 წელს. ხოლო
ვიორგი დიმიტრის ძემ საბოლოოდ განიმტკიცა საქართველოს
ტახტი ულჯათ სულტანის სიკვდილის შემდეგ, რაიც მოხდა
1316 წელს.

ამ გვარად, დავით მეფეს მიუღია თავისი ძმისაგან ვახ-
ტანგისაგან ჯავახეთი და ოლასტანი. მისი სიკვდილის შემდეგ
„დაუტევეს ნაცვლად მისსა“ ჯავახეთს და ოლასტანს „ძედ მი-

*). ქრონიკ. I, 6.

სი მცირე გიორგი, ორ წელ (საქართველოს) მეფე ქრისტიანი”.

დავით მეფეს ყავდა ორი ცოლი. პირველი ცოლი დედოფალი ოლგათ ურდოს გაგზავნეს ჩემის ანგარიშით 1296 წ. და „არღარა მოსკეს მეფეს დედოფალი ოლგათ. ხოლო ვითარ ცნა მეფემან არღა რა მოცემა ცოლისა თუისისა ოლგათისა, იქორწინა ქართლისა ერისთვის აჭმადას ასული ფრიად ქმნულ-კეთილი“. ეს მოხდებოდა ორა უადრეს 1297 წლისა. ასეისდა მიხედვით გიორგის დაბადება მიეკუთხევნება დაახლოვებით 1300 წლის ახლო ხანს. დავითს გიორგის გარდა სხვა შვილებიც ყოლია, მაგრამ არა ვაჟი, არამერც ასული. ვაჟი კიდევ რომ ყოლოდა დავით მეფეს, მემატიანე უეჭველია გიორგისთან ერთად იმასაც მოიხსენიებდა, როგორც სხვა ანალოგიურს შემთხვევაში (მაგ., დიმიტრი თავდადებულისა და ვახტანგ მეფის ოჯახობის ჩამოთვლის დროს). ხოლო რომ დავითს სხვა შვილებიც დარჩენია, ეს სჩანს მემატიანის ერთ აღვილიდან: „მოსკა (ჩოფან გიორგი ბრწყინვალეს) ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილი დავით მეფისანი“... (ქ-ცბა, I, 447).

გიორგის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო მეფე ანდრონიკე, რომელიც მამა ყოფილა 1373 წ. მოკლულის გიორგი აღას-ტანელისა. ეს ანდრონიკე ცნობილია ერთი 36 ქორონიკის სიგელით, რომლის შინაარსი შემდგენია: „ქ სახელითა ღ თისათა ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანის ნებითა ღ თისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთ მეფისა შარვანშე და შანუე და ყოვლის იღმოსავლეთის და დასავლეთის კელ-მწიფედ მპყრობელისა მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი ლარგულისა შვილი წითლოსან და გუეაჯა და მოგუაკენა, რაითამცა ქართლის მოხასძისა სალარისეულნი სოფელი კარბათ და გარეჯარ ბაკურის უბანი მისთისმცა მიგ(ვე)ბოძებიეს და დაგუაჯერა ღ თმან.... და მიუბოძენით.... აწ ვინცა პნახოთ ბრზი და სიგელი ესე ჩუენი შემდგრმადა ჩუენსა მამავალ-

თა მეფეთა და დედოფლალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთ ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორის და (ჩ)ვენთა ციხისთავთა და მეციხოვნეთა და გორის მოურავთა.... დაუმტკიცეთ.... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონს მეფობის ჩუენის მეცხრესა ქავს ლვ“... (ხა-ჯართ. სიძვ. II, 11—12).

ქორონიკონი 36 უდრის 1347 წ. 1 სექტ.—1348 წ. 1 სექტ., მაშასადამე ამ სიგელის მბოძებელი მეფე ანდრონიკე გამეფებულა 1338 წ. 2 სექტ.—1339 წ. 30 ავგისტოს შორის. გორგი მეფის სიკვდილი ამის მიხედვით მოდის 1339 წ. და შესაძლებელია 1338 წლის დასასრულს. ანდრონიკეს, როგორც ამ სიგელიდან სჩანს, ქართლშიაც ჰქონია სამფლობელო. სიტყვები „გორისა და ჩვენის ციხისთავთა“ უნდა გვიჩვენებდეს, რომ გორი ანდრონიკეს არ ემორჩილებოდა და იქ სხვა, აღბად საქართველოს მეფის, ციხისთავი იჯდა. ანდრონიკის მემკვიდრე იყო გორგი ალასტანელი. მაგრამ გარდა გორგისა ანდრონიკეს სხვა შვილებიც ყოლია, ეს სჩანს ზემოდ მოყვანილ სინას მონასტრის აღაპების ცნობიდან და მართლაც ჩემის აზრით ამ ანდრონიკეს შვილი უნდა ყოფილიყო ის დავით მეფე, რომელიც 1382 წ. ოქონის სიგელს აძლევს (დავით უცნობი მე-XIV საუკ. შეფე. ჩემი—წერილ. და მასალები საქართ. ისტორ. I, 137—140). ამ დავით მეფის მეფობის ინდიკტიონის მიხედვით მე გამოვიანგარიშე, რომ ანდრონიკე უნდა მომკვდარიყო 1355 წელს, შესაძლებელია 1354 წლის დასასრულს. როგორც ეტყობა, ანდრონიკეს საბრძანებელი მისი სიკვდილის შემდეგ ორად გაყოფილა. ქართლის ნაწილი დაუჭირავს დავითს, რომელიც ამის მიხედვით უფროსი ვაჟი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჯავახეთი და ალასტანი—გორგის.

ამ ნაირად, პირველად ჯავახეთი და ალასტანი მიეცა სამულობელოდ დავით დიმიტრის ძეს, რომელიც გარდაიცვალა 1312 წ. და რომელსაც დარჩა შვილი გორგი. დავით დიმი-

ტრი ძის სამფლობელო ქართლსაც უწევდა. შვილი მისი გორგი იყო ქანონიერი მემკვიდრე საქართველოს ტახტისა რომელიც შემდეგ დაიჭირა მისმა პიძამ გიორგი დიმიტრის ძემ (ბრწყინვალემ). გიორგი გარდაიცვალა 1339 წელს. მას დარჩა შვილი ანდრონიკე, რომელიც ფლობს როგორც ქართლის ქრის ნაწილს, ისე აგრეთვე ჯავახეთს. ანდრონიკე გარდაიცვალა 1355 წელს, მას დარჩა ორი და შესაძლებელია მეტიც ვაჟი დავით და გიორგი. დავითმა დაიპყრო ქართლი და ტფილისიც და ცოცხალი იყო 1382 წ. მას ყავდა ორი შვილი გიორგი და ალექსანდრე. ეს ის დავით მეფე უნდა იყოს, რომელიც მოხსენებულია 1376 წლის ქვეშ ტრაპეზუნტის მიხ. ფანარეტის ქრონიკაში, სადაც ის წოდებულია ტფილისის მეფედ. დავითს ცოლად ყავდა და აღმული ათაბაგისა. ასული მისი გულქან ხათუნ დანიშნული იყო ტრაპეზუნტის მეფის ალექსი III-ის შვილზე ანდრონიკეზედ, რომელიც მოკვდა ახალგაზღვობაში ჯვარ დაუწერელად 1376 წ.

ანდრონიკე მეფის შვილს გიორგის ერგო ჯავახეთი, რომლის უნტრალურ ადგილს ამ დროს წარმოადგენდა სოფელი ალასტანი. თავისი რეზიდენციის სახელიდან თვით გიორგის ეწოდა ალასტანელი. რომ მართლაც ჯავახეთის და ალასტანის გამოყოფა ანდრონიკეს შემდეგ შობდა, ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ანდრონიკე ზემოდ ნაჩვენებ წყაროებში ალასტანელად არ არის ნაჩვენები. გიორგი განაგებდა ჯავახეთს 1355—1373 წლებში. ეტყობა გიორგის დიდი ძალა ჰქონდა ქართლშიაც: „საშუალი იგი ძმა (ქვენიფნეველისა) ითანე მარადის იყვის წინაშე მეფისა, რამეთუ იყო მენე, გოლიათი, ბრძოლათა შინა უძლეველი.... ამათ უამთა მოვიდეს თურქი წინაძლომითა ბაედარის ძისა ხოსიასითა და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მოვარნი და დიდებულნი ქართველნი და მუნჯე მოიკლა ერისთავი ქვენიფნეველი ქორმინიკონს 61. ხოლო ივანე სრმენითა და სიქუელითა თურსითა განერა მათგან სასტიკად ბრსოლვილი, მოკიდა და

აფხაზ-იმერეთის კათალიკოსი სოლომონ I დიდის დროს.

ვახუშტის ქრონიკა, როგორც ცნობილია, მოყვანილია 1755 წლამდის, ე. ი უწევს სოლომონ I-ის მეფობის რამდენსამე წელს. სოლომონ I-ის გამეფების ვახუშტი გვიჩვენებს 1751 წელს, მაგრამ მე უკვე უწევნე (წერილები და მასალები საქართ. ისტორ. I, 95—98), რომ ვახუშტი აქ შეცდომაში შესულია, რადგან ნამდვილად სოლომონ I გამეფებულია 1749 წ. მარტში თავისი მამის ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ. ვახუშტი თავისს ქრონიკას რუსეთში სწერდა და აღბადეს შეცდომა გვიან მიწოდებულ ცნობებისა გამო თუ მოხდა.

უკანასკნელი ცნობა აფხაზეთის კათალიკოზთა შესახებ ვახუშტის მოხსენებული აქვს 1742 წ.: „კვალად მოკვდა კათალიკოზი აფხაზთა გრიგოლ, დაჯდა გერმანე“. გრიგოლ ლორთქითანიძე განაგერდა აფხაზეთის ეკლესიას 1696 წლიდან 1742 წლამდი. სანამდის იყო კათალიკოზიდ გერმანე და სახოგადოდ მისი ვინაობის შესახებ ვახუშტის არავითარი ცნობა არა აქვს. მაგრამ ამ გერმანეს შესახებ მაინც არის ზოგიერთი ცნობა, რომელიც ფრიად საყურადღებოა მაშინდელ საეკლესიო ისტორიის გასარკვევად. მე მოვიყენ ნიკორწმინდის საყდრის სიგელს № 9, დაწერილს ქაღალდზე ნუსხა ხუცურად, რომელშიაც მოხსენებულია გერმანე.

ქ შე წა და ანგელოზთა თა მოდასესა მაღლისა და ზე აღმატებულითა ცხრებითა ღირსად ღაგნ გვრგვნოსანსა მღდლ მთვრთა შე მთიებად საჩინოსა მღდლთ მოძღვრს ნეზ შეგივრდებით მსსოვებელნი შნნი ჩნ მონნი ჩნნი და მოსვნი ძლ მწესობისა შნნი მონნი ურთიერთასი წულკიძენი ბერი და გიორგი ვინათგნ ღრ შე მრ შეწევნა მოგცა და სმკვდრებლისა.

ჩნისა ჩნ პყრობა ინება ჩნცა ღონისეებრ ჩნისა წის ეკლე-
 სიისა შნისა სმარხისა ჩნისა მსხურებისათს სურვილი ვგქონდა.
 და ვა შენ ინებე კრციელი დბა ჩნი ჩნც წის ნიკზის წის შე-
 ძენა და სიძლლე გუსურდა და ვნახეთ და ოღმოვითხეთ ძველ-
 ნი შენი გუჯარი და მშიდ წერილნი შავრს გვენცაძე გლეხე
 ბი ში შეწული ღის მყრეთ მეფეთგნ ქონოდა დიდის აღთქ-
 მითა და წყევით მერმეთ უწესოთა კუთგნ გმოხტბოდა და სა-
 ეროდ გამხდარიყო აწ ახლად ჩნ გვახლედ სიგელი და შემოგ-
 წირედ დღთა ჩნთა გნსაგძმბდ ცხრობათა შა წრმართებდ და
 მერმესა მს სკნეს გნსვენებდ კრცნი ჩნნი ეკლესიისა შნისა
 შეცედრებლ არნ ეგროვე სლნი ჩნნი კლთა შა შნთა შეგვივე-
 დრებია მეუღლით ძით და ასლით რა გვოხდე უნდოსა და
 კნინსა მწვლილებრ შესაწირვისათს ესე ვყვით უა ღის მყრისა
 და ქს სურვლით აღტფინებლისა მეფეთ მეფეთ სოლომონისა ეა
 და დფლთ დფლისა გლქანისა ოდეს შნსა ეკლესიასა ზა იყფე-
 ბოდა ძმა ჩნი პლ კთალიკზი არქიერი გერმანე ქრისტიანს ქს
 აქთ ჩლ ოთხმცდ დაიწერა გუჯარი ესე

ბეჭედი: წულუკიძე ბერი, წულუკიძე გომრგი

ეს სიგელი მიცემულია 1784 წ. და მასში იხსენიება „პირ-
 ველ კათალიკოზი ერქიერი გერმანე“. აქედან ჩვენ ვტყობი-
 ლობთ, რომ კათალიკოზობისაგან გადამდგარი გერმანე ცოც-
 ხალი ცოფილა 1784 წ. ის ცოფილა წულუკიძის გვარისა, ძმა
 კარგად ცნობილ ბერი წულუკიძისა, რომელსაც სოლომონ I-
 ის მეფობის უკანასკნელ წლებში დიდი გავლენა ჰქონდა იმე-
 თის საქმეებში, და დედოფალ გულქანისა, რომელიც იყო მე-
 სამე ცოლი სოლომონ I-ისა.

გერასიმე კათალიკოზი მოხსენებულია ნიკორწმინდის საყ-
 დრის სამხრეთის კედელზე მიშენებულ ეკვდრის წარწერაში:
 „გერასიმე ქათალიკოსი შე[იწყალ]ე“ (მოამბე, 1894 წ. VII).

გერასიმე და გერმანე ერთი და იგივე უნდა იყოს. უკვე აქედან სჩანს, რომ გერმანე კათალიკოზობიდან გადადგომის შემდეგ ნიკორწმინდის ეპისკოპოზად დაუდგენიათ და მართლაც ჯერ კიდევ 1759 წ. საეკლესიო კრების დადგენილებაში საქუთათლო კათედრის აღდგენის შესახებ მოხსენებულია „ნიკოლოზ წმინდელი მიტროპოლიტი გერმანე“ (ჩემი—საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I დიდის დროს, 4). მაშიადამე გერმანეს კათალიკოზობიდან გადადგომა და ნიკორწმინდაში წასვლა კარგა ადრე მომხდარა.

როდის გარდაიცვალა გერმანე, დანამდვილებით არა სჩანს, მაგრამ ეს მომხდარი 1784 წლის შემდეგ ახლო დროში, რადგან მაღლე ამის შემდეგ უკვე ნიკორწმინდელად სჩანს სოფორონების წულუკიდე, რომელიც რუსთ დამკვიდრების შემდეგ იმერეთის მთავარებისკონსად დაინიშნა (1839 წ. სოფორონი იუ 79 წლისა აქты, IX, 107).

გერმანეს მოადგილედ ხავათალიკოსო ტახტზედ იყო რაჭის ერისთავის როსტომის ძმა ბესარიონ. ბესარიონ კათალიკოზად სჩანს 1750 და 1751 წელს (ჩემი—წერ. და მასალ. საქარ. ისტ. I, 96. ისტორია კათალიკობისა, მ. თამარაშვილისა). ის იხსენიება კათალიკოზადვე 1759 წლის საქუთათლოს შესახებ საეკლესიო კრების დადგენილებაში და ამგვარსავე დადგენილებაში ხონის გამოსაღების შესახებ 1761 წ. (ჩემი—საეკლ. რეფორ. სოლ. I დროს, 7). კათალიკოზადვე იხსენიება ბესარიონ 1766 წ., როგორც ეს სჩანს ბიჭვინტის № 71 საბუთიდან:

ქ ესე წიგნი მოგეცი მე ნიკოლაოზ დადიანის შეიღმა თქვენ კათალიკოზს ბესარიონს ასე რომ თუ შენ როსტომელა სალაყანია წაგივიდეს და ან თქვენს იქით იცოდეს რამე თქვენ რომ გლეხი მიბოძეთ ისიც მოგაროვა და ერთი იმისთანა სხვა გლეხი მოგაროვა მე ზაქარია ქართლელს ბერს დამიწერია და მოწამეცა ვარ ივნისს კე ქ' ს აქეთ 1766.

ბეჭედი წარწერით: ქ კეშმარიტად მწამს ღრთი ქ მას ვესავ დადიანის ძე ნიკოლოზ

ბესარიონ კათალიკოზადი იყო 1769 წელსაც. ქუთათელ-
მა მაქსიმეგ, სოლომონ 1-ის ელჩმა, განაცხადა 1769 წ. რუ-
სის მთავრობის წარმომადგენელთან პეტერბურგს. როდესაც:
სოლომონმა დაიბრუნა სამეფო, ოძულის რაჭის ერითავი როს-
ტომი ღალატისათვის თავისი საერისთო დაეტოვებინა. ერის-
თავი სხვა-და-სხვა ადგილის იმაღებოდა, ხოლო მა ერისთავი-
სა კათალიკოსი ბესარიონ წავიდა ახალციხის ფაშასთან და
სთხოვდა მას შემშეობა თავისი ძმის სახარებლოდ. ყიზლარში
ყოფნის დროს ელჩმა მიიღო ცნობა, რომ კათალიკოსის შეა-
დგომლობაში არა თუ ვერ გასჭრა, არამედ თვით ის შევკრიბილ
იქნა და შემდევ პატიმრობისაგან როგორც იქნა თავდახრეული
მოვიდა ისევ იმერეთს ყიზლარში მაქსიმე ქუთათელი 1769 წ.
იანვარში იყო (Цагарели, I, 32).

ამავე 1769 წ. კათალიკოსად სჩანს მეფის ძმა იოსები. ამ
წლის სექტემბერში ოოტლებენს მეფესთან ერთად მიეგება კა-
თალიკოსი იოსებიც (იგივე, I, 69). კავ. იაზიკოვი იოსებ
კათალიკოზის შე ახებ 1770 წელს გადმოგვცემს: „მეგრელები
ბერძნების რჯულისა არიან. ყველ კათალიკოსი, რომელიც ით-
ვლებოდა სამეგრელოს კათალიკოსად. ამ თანამდებობაში ახალ-
ციხის ფაშა იმას იყენებს, ვინც მას მეტს ფეხშეს მისცემს.
ამიტომაც ამ რამდენისამე წლის წინად ფაშამ იმერეთისა და
სამეგრელოს კათალიკოსად სოლომონის ძმა გამოაცხადა და
ამ ორს კათალიკოზს შორის აქამდის შფორი არ გათავებუ-
ლა“ (იგივე, I, 262).

გიულდენშტედტი კიდევ 1772 წ. ოქტომბერს თავისს
მოგზაურობაში სამეგრელოს შესახებ ვადმოგვცემს: „სამეგრე-
ლოს, ლეჩეუმს და ოდიშს ყავთ თითო ეპისკოპოზი. ისინი
ემორჩილებოდნენ იმერეთის პატრიარქ ანუ კათალიკოზს, მა-
გრამ ორიოდე წლის წინად დადიანმა სოლომონთან მტრობი-
სა გამო თავისი ეპისკოპოსნი ამ დამოკიდებულობისაგან გაან-
თავისუფლა და კათალიკოსად დასვა ბესარიონი რაჭის ერისთა-
ვის გვარისაგან (Reise durch Russland, 1787, 412—413).

იქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ პოლიტიკურ გარემოებას საკათალიკოზო ტახტის ბედზედ დიდი გავლენა ქონდა. რაჭის ერისთავთან მფლობელების გამწვავების შემდეგ მეფეს ბესარიონი ტახტიდან ჩამოუგდია. ეს მოხდებოდა 1769 წელს და შესაძლებელია 1768 წ.. ბესარიონი ამის შემდეგ დარჩენილია სამეცნიეროს კათალიკოსად, რადგან მისი ტახტიდან ჩამოგდება არ უცვნია დადიანს. პოლიტიკურ ფაქტებს აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1769 წ. ზაფხულის მიშურულში სოლომონმა შეიპყრო რაჭის ერისთავი როსტომ, სამფლობელო ჩამოართო და თითონ მასაც და მის უფროს შვილს თვალები დასთხარა. დადიანი მხარს უჭერდა რაჭის ერისთავს, რადგან მეფის გაძლიერებისა ეშინოდა და ამით აიხსნება ბესარიონ კათალიკოსის სამეცნიეროში მიღება შემდეგ მისი ტახტიდან ჩამოგდებისა.

ბესარიონის მოადგილე იმერეთში, მეუის ქ იოსებ, ჯერ კიდევ 1750 წ. გენათელ მიტროპოლიტად სჩანს, როდისაც ის იყო მხოლოდ $11\frac{1}{2}$ წლისა. (ჩემი—წერ. და მას. საქარ. ისტ. I, 97). მისი კათალიკოსად დანიშვნა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით უნდა მომდინარეობა 1769 წელს. იოსებ კათალიკოზი გარდაიცვალა 1776 წ. 13 მაისსა და მისს მოადგილედ იყო მაქსიმე აბაშიძე ქუთათელი.

კათალიკოზ ბესარიონის მიცვალების დრო დანამდვილებით არა სჩანს, მაგრამ ერთი სიგელი კაცია დადიანისა გვიჩვენებს, რომ კათალიკოზი ბესარიონი სამეცნიეროს ეკლესიის განაგებდა 1784 წლამდის. ეს სიგელი ბიჭვინტისა № 51 დაწერილია ქილალდზედ და უცვლელიად იყითხვის შემდეგ ნაირად:

სამცუამოვნად და ერთარსად ცნობილისამი. ყდისა სასოფტისა და ცხოვრებისა ჩემისა ზა დამდებელი, დადიანი კაცია, კეთილობისა ძლით კეთილისა განმგულის შორისებელი და აღმრჩეველი, სასულითოსა წერისა და სიტყვისა თანა საქმისაცა გამომაცხადებელი და მჭირსედ მნებებელი აღგიშერთ ყრთა

მკვიდრთა სამეცნიელოსა და სამფლობელოსა ჩვენისათა ზოგად კანონთა სამლუდელოთა და საერთოთა, ესრეფ და ესე ვითარად: რლისამე საქმისა და მიხედვისათვის წარვიდა სხვად სამეცნიელო დოკუმენტი ჩვენი კანონთა მაქსიმუმი მაქსიმე. რ' ლიკა ყოლითა ძალითა თვისითა ფდ მოღუწე ექმნა და შემწე ეყო ქანას ჩვენსა: და ჩვენ კ' დ დიდითა ტრადიციებითა და გულსმოდგინებითა ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ, და მეუფებაცა მათი მორჩილ გვექმნა და მოვიყვანეთ ჩვენდავე ჩრდილო აუხაზ იმერთა კ' მაქსიმე და დავადგინეთ სამოციქულოს კათედრასავე ზრა თვისისა:

ხ' სამართლად რად დავადგინეთ, მწყემსად და მამათმთავარად ჩვენდა და სულითასა ჩვენისა მართლმსჯულობად ვარწმუნეთ: ამისთვის ჯერისაებრ და კანუნისა შეიძგზის სადიდებელისა წ' ისა კრებისაებრ მამათახსა მე აღვიარებ და თქვენ ვარწმუნებთ ყოვლითურთ მისანდობელად სასულითოსა სჯულისა და წესისათვის, ამითისა უწმიდესობისა ზ' ა შეწევნასა და არა რომლისამე მიხეზითა უსამართლოდ წინააღმდეგომობასა:

რ' აქცხყ ჩვეულებად შოწაფეთა ქვეთა და შოციქულთა კანონის მებრი სულიერი კანუნი სჯულისა და ახლისა ბრაქ- მისა, და ჩვენცა მას საზოგადოდ დავადგრეთ საესაეთა პრამანებათა ზ' ა ყოვლით ძალითურთ ჩვენით: და ვეგნეთ რ' ამის და ესე ვითარისა საქმისა მიერ გამოვალს შეაღრდა- მოხმ მადლით და ქრებით, რათამცა ლირს ვიქმნენით ესე გუ- რითა წესითა აღსრულებად და დადგრამად წ' ლიტისა და კაც- თა: კდ თქვენ კ' თა მორჩილმყოფელთა მკვიდრთა დიდთა და მცირეთა მტკიცედ გარწმუნებთ, რათა საყდარსა და წ' ასა ტახტუ- სა ამისსა სიტყვით და საქმით, უფლებად სულიერი აქვნდეს, და დანებდეს სადაც ვისმე ეპყრის ამათისა უწმიდესობისა ყმა- ნი; ანუ აგარაკ მამულნი, ანუ რაიკა აკლ. და რად შილებულ იყოს უსამართლოდ, ანუ უმეცრებით. გინა მეცნიერებით, და ყოველ სიყუარულისათვის მწყემს მთავრისა დაუტეონ, და ნე- ბასა ამისსა მორჩილებით და სიმართლით მსახურებდენ ყლნი-



ვე შეწირული სამართლით რომელიც პეტერბურგის პლატფორმაზე სხვანიცა შად:

ისმინდეთ უკუც ერთ სჯულთა ყრთა ჩვენთანათა და ესრეთ ალისრულეთ სამართლად აღწერილი. და კრისტიანი განჩინებად. რა სულთა და კორცია თქვენთა მოურნეობამან ვალდებისა უდელსა ქვეშე მყო, და ყრითა კტითა სინიდისითა ჩვენთა ესრეთ აღვირჩევია, და თქვენთვის და ჩვენთვის უმჯობესად ესენი იღვიწერია და დაგვიმტკიცებია: ამიერითგან რომელნიცა ამას მღუთივ აღრჩეულსა ნებასა ჩვენსა წინააღმდეგომ ეჭმნებიან. და ესე ვითარად არ გვერწმუნებიან ანუ ოდესმე უარ ცულფიან განცხადებულად უწყოდენ. და მღუთისა ყრდ ძლიერისა სახელსა ვფუცავ რაღ მტერთა ჩვენთაებრ მტერ ვექმნებით, და ვარ წისა მოციქულისა ჩვენისა ანდრიას მიერ მოციქულისა სჯულისა მეუარესა ეგრეთ უარ ცულფო, და ყრლისა ჩვენისა მეცადინობით და ძალით და ლონით და შურის ძიებით არა ვრიდებთ ვარ სულისა მტერთა, და კორცია ჩვენთა ორგულთა და რლთაცა ესე წერილი არა ესრეთ აღასრულონ. არსმცა იგი ყოვლით რადთურთით და წყეულ და განხრწნილ ყლისა ცხოვრებასა შინა თვისსა, სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წისათა ამინ: აღიწერა წელთა ურისათა. ჩლპდ:.


ბეჭედი: ვინა მკვნა ცანი მარადიანი მით ვფლობ ქვეყანად შე დაღიანი | კაცია.

ბეჭედი: კუონდიდელი მიტრაპოლიტი ანტონი.

ბეჭედი: დადიანის ძე გიორგი.

ამ სიგელში კაცია დაღიანი 1784 წ. სწერს „მოვიყვანეთ ჩვენდავე ჩრდილო აფხაზ იმერთა კრზი მაქსიმე და დავადგინეთ სამოციქულოსა კათედრასავე ზა თვისსა“. ეს გარემოება, ჩემის აზრით, ფრიად საყურადღებოა, რადგან უნდა გვიჩვენებდეს 1784 წ. სამეგრელოს დამორჩილებას კათალიკოზ მაქსიმესათვის, ალბად, კათალიკოზ ბესარიონის სიკვდილის შემდეგ.

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ჩვენ მივიღებთ
შემდეგს სურათს საკათალიკოზო ტახტის მდგომარეობისას და-
სავლეთ საქართველოში მეფის სოლომონ I-ის მეფობის დროს.
1742 წლიდან საკათალიკოზო ტახტზე ზის გერმანე, რომე-
ლიც შემდეგ თავს ანებებს კათალიკოზბას, ინიშნება ნიკორ-
წმინდის კათედრაზე და ცოცხალია 1784 წელს. გერმანეს მო-
ადგილე საკათალიკოზო ტახტზე არის ბესარიონ რაჭის ერის-
თავის ძე. 1769 წ. სოლომონ I-მა მისი გადაყენება მოინდომა
და კათალიკოზად დასვა თავისი ძმა გენათელი იოსები. ბესარიო-
ნი კი გადავიდა სამეგრელოს, საღაც დადიანი კვლავაც აღია-
რებდა მას კათალიკოზად, რის გამო სამეგრელოს სამლენდელო-
ება მისი მორჩილი იყო. კათალიკოზი ბესარიონი გარდაიცვა-
ლა 1784 წ. და მხოლოდ ამის შემდეგ სამეგრელოც გურია-
იმერეთთან ერთად დაემორჩილა ერთს აფხაზ-იმერეთის კათა-
ლიკოზს, სახელდობრ მაქსიმე აბაშიძეს, რომელსაც კათალი-
კოზ იოსების სიკვდილის შემდეგ 1776 წლიდან ეპურა საკათა-
ლიკოზო ტახტი.



თემატიკური მდგრადი მოძღვანელის ერთ-ერთ დანართის შესახებ მიმკითხვების შედეგები და მიმკითხვების დანართის განვითარების შეზღუდვები	3
ს ა რ ჩ ე გ ი.	
აფხაზეთის კათაღიკეთის დაწილება	3
აფხაზეთის სამეცნი მანდატურუქულების მე-XIV საუკუნეში	7
მეფე გიორგი ანდრიანიკეშვილი ალასტანელი	12
აფხაზ-იმპერეთის კათაღიკეთის სოლდომინ I დიდის დროს	24

